



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N007/16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თომა ჯაჯანიძე (სტუდენტი)

საქმის ფაქტები

ბ. ბ.-სა (შემდგომში ადვოკატი) და გ. მ.-ს (შემდგომში კლიენტი) შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის 10 ოქტომბერს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ბ. ბ.-ს მიმართა საადვოკატო მომსახურების მისაღებად 2014 წლის 10 ოქტომბერს, რომელმაც თავის მხრივ დააკავშირა ადვოკატ ბ. ბ. რომელსაც უნდა ეწარმოებინა მისი საქმე. მხარეთა შორის 2015 წლის 06 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება. ადვოკატმა ჰონორარის სახით კლიენტისაგან აიღო 600 (ექვსასი) ლარი, ასევე ადვოკატს გადაეცა დამატებით 100 (ასი) ლარი, რომლის დანიშნულებაც დადგენილი არ არის, რადგან ადვოკატს არ უწარმოებია სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტის მიერ გადახდილი თანხების შესახებ. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმებით, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა სამოქალაქო სასამართლოს. სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, რადგან არ იყო ხაზურის რაიონული სასამართლოს განსჯადი. ვინაიდან ადვოკატ ბ. ბ.-ს გარდაეცვალა დედა, საქმეში ჩაერთო მეორე ადვოკატი - მ. ბ. და უკვე მისი მონაწილეობით 2015 წლის 01 ივნისის სარჩელით მიმართეს ქარელის მაგისტრატ მოსამართლეს. 2015 წლის 28 ოქტომბერს სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა კლიენტის სარჩელი. კლიენტის კუთვნილი ნივთების განზრახ დაზიანება/განადგურების ფაქტზე გამოძიება შეწყდა 2014 წლის 16 სექტემბერს, რადგან დანაშაულის ჩამდენი პირები იყვნენ მცირეწლოვანნი. ადვოკატის საქმეში ჩართვის დროისათვის, გ. მ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ის წარმოადგენდა დაზარალებულს, გამოძიება უკვე დაწყებული იყო. ადვოკატმა (ბ. ბ.) საჩივარი დაწერა გამოძიებლის შ. ს.-ის წინააღმდეგ, მაგრამ მის მიმართ საქმე არ აღძრულა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო. კლიენტი, როგორც დაზარალებული, გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ადვოკატის მიერ ხაზურის რაიონულ სასამართლოში შეტანილ სარჩელს დართული არ ჰქონდა კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადახდილი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ დევნა დაიწყო შემდეგი მუხლების სავარაუდო დარღვევის საფუძველზე: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-8 და მე-12 ნაწილები.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა. კვალიფიციურობა გულისხმობს, რომ ადვოკატმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და წარმომადგენლობა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c5826a50715e.pdf/5c5826a50715e.pdf>

ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკისა და საპროცესო მოქმედებების არსებითი შეფასება, მათი ხარისხის შემოწმების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

ადვოკატს ევალებოდა მტკიცებულების სარჩელისათვის დართვის უზრუნველყოფა, კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, ადვოკატის ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც. მხოლოდ სასამართლო სხდომებზე დასწრება ვერ შეფასდება კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ საადვოკატო მომსახურებად. კლიენტი იმის გამო სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, რომ მას აქვს ის სპეციალური ცოდნა და უნარები, რაც კლიენტს არ გააჩნია.

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვერ დგინდება რა მიზნით მიიღო ადვოკატმა კლიენტისაგან 100 (ასი) ლარი, იყო ეს სახელმწიფო ბაჟის თანხა თუ თანხა ადვოკატის ხარჯებისათვის. ამის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა ადვოკატს. შესაბამისად, ადვოკატის მიერ დართვეულია კლიენტის მიერ გადაცემული საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება.

ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის სკურუპულოზურად წარმოებას. კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია.

დასკვნა

განხილვის კოლეგიამ ადვოკატის მხრიდან დარღვევად მიიჩნია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8.5, 8.8 და 8.12 მუხლები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრა გაფრთხილება.